SUMERIAN LEGAL DOCUMENTS
შუმერული სამართლებრივი დოკუმენტები

CHAREKISHVILI NINO
Professor, Dr.,
Georgian Institute of Public Affairs (GIPA)
Address: Marie Brosse #2,
0108 Tbilisi, Georgia
Tel.: 598893399
ORCID: 0000-0002-9568-2926
n.charekishvili@gipa.ge

Abstract: The article presents four documents/laws from Sumerian legal texts: Laws of X (LX), ca. 2050-1800 B.C.E.; A Sumerian Laws Exercise Tablet (SLEx), ca. 1800 B.C.E.; Laws about Rented Oxen (LOx), ca. 1800 B.C.E., Nippur; Sumerian Laws Handbook of Forms (SLHF), ca. 1700 B.C.E.

The translations of these texts in Georgian language at first time are presented.

Keywords: Assyriology, Mesopotamia, Sumerian language, Laws, Sumerian Laws.

ნინო ჩარექიშვილი
პროფესორი, დოქტორი,
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)
მის.: მარი ბროსეს #2,
თბილისი, 0108, საქართველო
ტელ.: 598893399
ORCID: 0000-0002-9568-2926
n.charekishvili@gipa.ge

აბსტრაქტი: სტატიაში წარმოდგენილია შუმერული სამართლებრივი ძეგლებიდან ოთხი დოკუმენტი/კანონი: X-ის კანონები (LX), რომელიც დაახლოებით ძვ.წ. 2050-1800 წ.წ. თარიღდება, შუმერული კანონების სავარჯიშო ფირფიტა (SLEx), რომელიც დაახლოებით ძვ. წ. 1800 წ. თარიღდება; კანონები დაქირავებული ხარების შესახებ (LOx), რომელიც დაახლოებით ძვ.წ. 1800 წ. თარიღდება (ქ. ნიფური); შუმერული კანონების ფორმების სახელმძღვანელო (SLHF), რომელიც დაახლოებით ძვ.წ. 1700 წ. თარიღდება.

ამ ტექსტების თარგმანი ჩვენს მიერ ქართულ ენაზე პირველადაა წარმოდგენილი.

საძიებო სიტყვები: ასირიოლოგია, მესოპოტამია, შუმერული ენა, კანონები, შუმერული კანონები.

შესავალი:

X-ის კანონები (LX), დაახლოებით 2050-1800 ძვ.წ.: ტექსტში ავტორის სახელი არ არის შემონახული. არსებობს მოსაზრება, რომ ეს კანონები შეიძლება იყოს ურ-ნამმუს კანონების ბოლო ნაწილი. ტექსტი ფრაგმენტულია და კანონები არაა დანომრილი, ვინაიდან მომავალში შეიძლება დამატებითი ნაწილები აღმოჩნდეს, რაც სრულყოფს კანონებს და გააადვილებს მის რეკონსტრუქციას. შემორჩენილია ოცზე ნაკლები კანონი, რომელთაგან თითოეული იწყება შუმერული სიტყვა tukum-bi, „თუ, თუკი“. კანონები ეხება: ქორწინებას, გადასახადს, სესხს და პროცენტს, უძრავი ქონების გაყიდვა-გაქირავებას. ეპილოგში მოცემულია წყევლა ნებისმიერი მომავალი მმართველის წინააღმდეგ, რომელიც დააზიანებს ან შეურაცხყოფს ჩაწერილ კანონებს. შემორჩენილი კანონები ეხება ძირითადად თავისუფალ ადამიანს (lú, „კაცი“), თავისუფალ ქალს (geme), ასევე ცოლს (dam) და სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს: მკურნალს, ექიმს, ვეტერინარს (azu); მქსოველს, ფეიქარს ([geme]ušbar); სასტუმროს მეპატრონე ქალს ([munus.lú]kurun-na).

შუმერული კანონების სავარჯიშო ფირფიტა (SLEx), დაახლოებით ძვ.წ. 1800 წ.: ეს ფირფიტა შუმერული სკოლის სასწავლო ფირფიტა უნდა ყოფილიყო და დაწერილია, ან გადაწერილია, ან ნაკარნახევია მოსწავლის, სახელად ბელშუნუს მიერ. ფირფიტის წარმოშობა უცნობია. უკანა მხარეს დაწერილი ათი დებულება ეხება: სხეულის დაზიანების შემთხვევებს, რასაც მოჰყვებოდა მუცლის მოშლა; კონტრაქტით სარგებლობის დარღვევას; შვილად აყვანის უარყოფას; გაუპატიურებას; დაქირავებული ხარების დაზიანებას. ყოველი კანონი იწყება ტრადიციულად კანონებისთვის დამახასიათებელი შუმერული სიტყვით tukum-bi „თუ, თუკი“. სხვა სამართლებრივი სიტუაციები წაშლილი და ძირითადად გაუგებარია. ფირფიტა მთავრდება მწერლობის, ხელოვნების მფარველი ღვთაებების, ნისაბას და მისი მეუღლის ღვთაება ხაიას ხსენებით.

კანონები დაქირავებული ხარების შესახებ (LOx), დაახლ. ძვ.წ. 1800 წ., ნიფური: მოსწავლეების სავარჯიშო ფირფიტები მოიცავს ამონაწერებს მთელი რიგი კანონებიდან, რომლებიც ეხება პასუხისმგებლობის საკითხებს და დაკავშირებულია დაქირავებული ხარების დაზიანებასთან ან დაკარგვასთან. ისინი ასახავს იმ დებულებებს, რომლებიც გვხვდება სხვა კანონებშიც. ყოველი დებულება იწყება შუმერული სიტყვით tukum-bi „თუ, თუკი“.

შუმერული კანონების ფორმების სახელმძღვანელო (SLHF), დაახლოებით ძვ.წ. 1700 წ.: სახელშეკრულებო პუნქტებსა და დებულებებში განხილული სიტუაციები მოიცავს შემდეგ თემებს: ხელმოწერას, ფიცს, ქურდობას, ბინის გაყიდვას და იჯარას, გაუპატიურებას, ქორწინებას, შვილად აყვანას, მემკვიდრეობას და შეგირდობას. ასევე, სასოფლო-სამეურნეო სამართალდარღვევასა და იჯარას, კონტრაქტით სარგებლობის დარღვევას, დაქირავებული ნავების, ხარების, მონების დაზიანებას და ვალის გირავნობას. კანონის დებულებები და ზოგიერთი სახელშეკრულებო პუნქტები იწყება შუმერული სიტყვით tukum-bi. „თუ, თუკი“, როგორც ეს სხვა შუმერული სამართლის კრებულებშია.

მსჯელობა:

X-ის კანონები (LX), დაახლოებით ძვ.წ. 2050-1800 წ.წ.

კანონები

(rev. i' l'-4'). თუკი კაცი [...] სხვა კაცის სახლს, მის სახლს [...] მარცვლეულის პატრონმა უნდა დაიფიცოს,[1] ხოლო სახლის პატრონმა მარცვლეული [უნდა ...].

(rev. i' 5'-8'). თუკი კაცი [...-ს] სხვა კაცის სახლს, [...] ჩვენება[2] [... სახლის პატრონი] მარცვლეულიდან [...].

(rev. i' 9'-10'). თუკი კაცი [...] სხვა კაცის სახლი, [...] მისი ბორანი[3] [...]

(rev. i' ll'-12'). თუკი ქალი[4] ქმარს [...], ცოლი [...] .

(rev. i' 13'-14'). თუკი კაცი ცოლს [...].

(დაზიანებულია)

(rev. ii' l'-2'). თუკი [კაცი და ...] მკურნალი[5] [განკურნავს მას ...].

(rev. ii' 3'-4'). თუკი კაცი [და ...] მკურნალი განკურნავს მას, 5 *შიკ[ლი*[6] ვერცხლი უნდა მიუწონოს].

(rev. ii' 5'-6'). თუკი [კაცი და...] მკურნალი განკურნავს მას, 1 *შიკლი* [ვერცხლი უნდა მიუწონოს].

(rev. ii' 7'-8'). თუკი [...] მკურნალი განკურნავს მას, 1 *ში[კლი* ვერცხლი უნდა მიუწონოს].

(rev. ii' 9'-10'). მქსოველი ქალი[7], რომელიც რეცხავს[8], მისი დაქირავება ერთი დღით [...]; მქსოველი ქალი, [...], მისი დაქირავება ერთი დღით [...].

(rev. ii' ll'-13'). [...] მისი დაქირავებაა 2 *ბან*[9] მარცვალი; [...] მისი დაქირავებაა 6 *სილა*[10] მარცვალი: [...] მისი დაქირავებაა 1 *ბარიგა*[11] 1 *ბან* მარცვალი.

(rev. ii' 14'-16'). თუკი სასტუმროს მეპატრონე ქალი[12] თავის ერთ კასრს[13] კაცს მისცემს, [ის (ქალი) მიიღებს მოსავლიდან 5 *ბან* მარცვლეულს].

---

[1] nam-érim(-bi)...kud – დაფიცება, ფიცით დადასტურება .

[2] ki-inim-ma – ჩვენების ადგილი (შდრ., lú-ki-inim-ma) („ადგილი“ + „ფიცი“ + გენიტ.); მტკიცება, მოწმობა.

[3] addir (=A.PA.ĜISAL.PAD.DIRIG) – ბორანი, ხიდი.

[4] munus – თავისუფალი ქალი, მანდილოსანი.

[5] azu – მკურნალი, ექიმი, ვეტერინარი.

[6] gín, giĝ$_4$ – small ax(-head) used as money; shekel (of silver) = ca. 8.333 grams; a surface area measure, 1/60 square nindan (sar) = 180 surface še = 2160 (=36,0) square fingers; a volume measure, = 0.3 cubic meters (Akk. kiinu 'true measure', cf., Orel & Stolbova #1459, *kin- "count") [TUN3 archaic frequency: 96; concatenates 3 sign variants].

[7] ^{geme}ušbar – მქსოველი, ფეიქარი.

[8] dan$_6$ (= UŠxTAG$_4$) – გაწმენდა, გარეცხვა (Steinkeller, OrAnt 19, 83-84) (cf. gáb-dan$_6$ cleaner).

[9] bán – vessel; a measure of capacity or volume = 10 liters (sìla) in the Ur III period; = 6 liters at Presargonic Girsu (cf., banda$_{2,4,5}$) (ba, 'portion, rations', + na, 'human being').

[10] sìla, sìl, šál - measure of capacity, liter = 0.842 modern liters in the Neo-Sumerian period; measuring pot (si$_{14}$, 'a small pot', + lá, 'to weigh'; but cp. also, sal, 'uterus') [SILA$_3$ archaic frequency: 57; concatenates 3 sign variants].

[11] bariga (ba-ri$_2$-ga) – a unit of capacity; a measuring container. Akk. *Parsiktu.*

[12] $^{munus.lú}$kurun-na – სასტუმროს მეპატრონე ქალი.

[13] შესაძლოა იგულისხმებოდეს ლუდის ჭურჭელი, ლუდის კასრი.

(rev. ii' 17'-19'). თუკი კაცი სხვა კაცს მისცემს 1 *გურ*[14] მარცვლეულს პროცენტიან სესხად[15], მისი საპროცენტო განაკვეთი[16] წლიურად იქნება 1 *barიგა* 4 *ban* მარცვლეული (= 33%).

(rev. ii' 20'-22'). თუკი კაცი სხვა კაცს 10 *შიკლ* ვერცხლს მისცემს პროცენტიან სესხად, მისი წლიური საპროცენტო განაკვეთი იქნება [2 *შიკლი* ვერცხლი (= 20%)].

(rev. ii' 23'-24'). თუკი კაცი [...]

(დაზიანებულია)

(rev. iii' l '-2'). [...].

(rev. iii' 3'-4') თუკი [კაცი ყიდულობს] 1 *სარ*[17] [...]-სახლს, მისი [ფასია[18] x *შიკლი* ვერცხლი.]

(rev. iii' 5'-6'). თუკი კაცი ყიდულობს 1 *სარ* [...]-მიწას, მისი [ფასია x *შიკლი* ვერცხლი.]

(rev. iii' 7'-8'). თუკი კაცი ქირაობს სახლის ნაკვეთის[19] 1 *სარს* [...], მან უნდა მიუწონოს 1 *შიკლი* ვერცხლი.

ეპილოგი

(rev. iii' 9'-14'). ვინც ამ წარწერას[20] და ხელწერას წაშლის[21] და საკუთარ სახელს დაწერს, ან ამ წყევლას[22] წააშლევინებს[23] უცხოს[24], «...» – ის კაცი იქნება მეფე, იქნება მბრძანებელი, თუ იქნება მმართველი [...] განადგურდეს!

(rev. iii' 15'-20'). დაე, მისი ქალაქი ღვთაება ენლილის[25] საძულველი[26] ქალაქი იყოს! დაე, მისი ქალაქის მთავარი კარიბჭე[27] [...] ღია[28] [...]! მისი ქალაქის ჭაბუკნი ბრმა! მისი ქალაქის ქალწულნი[29] უნაყოფო! [...] მისი ქალაქის ღვთაებები ენქი, იშქური, აშნანი იყოს! ღვთაება ენლილის ძლიერი სიტყვა [...]

---

[14] gur, kùr – n., reed basket; measure of capacity - Biblical kor (= 300 sìla in Old Akkadian and Neo-Sumerian periods; = 144 sìla in Old Sumerian Girsu/Lagash; in admin. texts = 2 bariga).

[15] ur5-ra – პროცენტიანი სესხი; ვალი, დავალიანება.

[16] maš, máš – პროცენტი (სესხის); მოგება; პროდუქცია, მოსავალი.

[17] sar, šar – a surface measure, 'garden plot' = 1 square ninda = 60 surface shekels = 1/100 iku = 4 square reeds = 144 square cubits = 36 meters2; a volume measure of one square ninda times 1 kùš = 144 kùš3 = ca. 18 cubic meters = 1,0 gur [= 60 gur] of capacity = 1,0 gín in weight.

[18] sám, šám, sa10 – ეკვივალენტი; (ბარტერული) შეძენა; გასაყიდი ფასი; შეძენა, ყიდვა

[19] é-dù-a – სახლის ნაკვეთი („სახლი“ + „აშენება“ + nom.).

[20] mu-sar-ra – წარწერა.

[21] ùr – წაშლა, გაქრობა.

[22] áš...bal – წყევლა.

[23] zi (= CUT) – (Ur III, Old Babylonian) wr. zi2; zi; "to cut, remove; to erase" Akk. baqāmu; barāšu; naṭāpu; nasāhu.

[24] lukur (STRANGER) – (Old Akkadian, Ur III, Old Babylonian) wr. lu2-kur2 – უცხო, უცხოელი. Akk. nakru – უცხო, უცხო ადამიანი.

[25] შუმერული პათეონის უმნიშვნელოვანესი ღვთაებაა. ისაა უზენაესი ტრიადის (ანუ-ენლილი-ენქი) მეორე წევრი. მან დააშორა ერთმანეთს ცა და მიწა. ამიტომ ის ითვლება ჰაერის, სივრიცის, კაცობრიობის ღვთაებად. ქ. ნიფურის მფარველი ღვთაებაა, მისი მეუღლეა ნინლილი.

[26] še-ga/ge – საყვარელი; იყოს მორჩილი; დამორჩილება; დათანხმება; nu-še-ga/ge - არასაყვარელი, საძულველი, საზიზღარი.

[27] abula (= GATE) – (ED IIIb, Old Akkadian, Lagash II, Ur III, Early Old Babylonian, Old Babylonian) wr. abul; abul-la; a-bul5-la "gate" Akk. abullu.

[28] ĝal taka (= OPEN) – (Lagash II, Old Babylonian) wr. ĝa12 taka4; ĝa12 takax(BALAG) "to open" Akk. petû.

[29] ki-sikil – ახალგაზრდა ქალი; ქალწული („ადგილი“ + „სუფთა“).

(10 ხაზი ფრაგმენტულია)

კანონები დაქირავებული ხარების შესახებ (LOx), დაახლოებით ძვ.წ. 1800 წ., ნიფური

კანონები

(Al'. B l'-4'). თუ მან (გამქირავებელმა) ხარს თვალი დაუზიანა[30], მისი ღირებულების ნახევარი (ვერცხლით) უნდა მიუწონოს.

(A 2'-5', Br. 1-5, E l'-2'). თუ მან (გამქირავებელმა) ხარს რქა მოაჭრა[31], მისი ღირებულების მესამედი (ვერცხლით) უნდა მიუწონოს.

(A 6', E 3'-5'). თუ მან (გამქირავებელმა) ხარის ჩლიქის მყესი[32] ჩაჭრა,[33] მისი ღირებულების მეოთხედი (ვერცხლით) უნდა მიუწონოს.

(E 6'-7'). თუ მან (დაქირავებულმა) ხარს კუდი[34] მოაჭრა, [ერთს [...] მისი ღირებულების (ვერცხლით) უნდა მიუწონოს].

(დაზიანებულია)

(Cr. l'-4', D 1'-3'). თუ მან (დაქირავებულმა) ხარს [...], მისი ღირებულების მეოთხედი (ვერცხლით) უნდა მიუწონოს.

(Ar. l'-5'. Cr. 5'-8', D 4'-8'). თუ ხარი მოკვდება მდინარის გადალახვისას,[35] მან (დამქირავებელმა) მისი სრული ღირებულების (ვერცხლით) უნდა მიუწონოს.

(Ar. l'-5'. Cr. 5'-8', D 4'-8'). თუ ლომი მოკლავს უღლიან[36] ხარს, ის (დამქირავებელი) არ ჩაანაცვლებს (ხარს).[37]

(დაზიანებულია)

(F 1-3). თუ ლომმა ხარი ან ვირი [...]იმ ადგილას მოკლა, ის (დამქირავებელი) არ ჩაანაცვლებს (ხარს).

(F 4-7). თუ [...] გადაკვეთს (?) [...], მან ერთი-[... მისი ღირებულების (ვერცხლით) უნდა მიუწონოს].

შუმერული კანონების სავარჯიშო ფირფიტა (SLEx), დაახლოებით ძვ. წ. 1800 წ.

კანონები

---

[30] hul(3) – v., განადგურება; ჩაშლის; ზიანის მიყენება.

[31] kud, kur5, ku5 - მოჭრა, მოწყვეტა, განცალკევება, დარღვევა.

[32] sa – მყესი.

[33] sila, sil, síl, zil, si-il – ჩაჭრის, გაყოფა.

[34] kun [TAIL] (ED IIIa, ED IIIb, Old Akkadian, Ur III, Old Babylonian, 1st millennium) wr. kun "tail; canal outlet" Akk. zibbatu.

[35] bala('), bal – გადალახვა, გადაკვეთა, გავლა.

[36] ĝiššudun(2,3,4,5), ĝiššudul(2,3,4,5), ĝišuštil - უღელი, უღელში შებმული; ჯვარი.

[37] ეს კანონი იცავს მოიჯარეს (ფერმერს, რომელიც ხარს ქირაობს) იმ დანაკარგისგან, რომელიც ბუნებრივი კატასტროფის (ამ შემთხვევაში, გარეული ცხოველის თავდასხმის) შედეგად ხდება. თუ ლომი მოკლავს უღელში შებმულ ხარს, მოიჯარე არ არის ვალდებული, რომ მფლობელს ახალი ხარი გადაუხადოს ან მისი ღირებულება აანაზღაუროს. ამ შემთხვევაში, ზარალი ხარის მფლობელისაა. ეს კანონი აჩვენებს, რომ ამ დროს უკვე არსებობდა პრინციპები, რომლებიც განასხვავებდა დანაშაულს (მოიჯარის ბრალეულობას) და ფორს-მაჟორულ (გარემოებების გამო) სიტუაციას.

(iv 1-5). თუკი (ვინმე) კაცის ქალიშვილს[38] დაეჯახება და ნაყოფის მოუშლის, (მან დაზარალებულს) 10 *შიკლი* ვერცხლი უნდა მიუწონოს.

(iv 6-10). თუკი (ვინმე) კაცის ქალიშვილს დაარტყამს და ნაყოფს მოუშლის, (მან დაზარალებულს) 20 *შიკლი* ვერცხლი უნდა მიუწონოს .

(iv 11-18). თუკი ის შეცვლის თავის შეთანხმებულ მარშრუტს[39] და ამის გამო ნავი დაიკარგება, მანამ სანამ არ აღადგენს ნავს, ის მფლობელს ქირის ნახევარს მარცვლეულით მიუწონის.

(iv 19-29). თუკი ის (შვილად აყვანილი ვაჟი) თავის მამას და დედას განუცხადებს: „შენ არ ხარ მამაჩემი“ ან „შენ არ ხარ დედაჩემი“, ის დაკარგავს სახლს, მინდორს, ბაღს, მონა კაცს[40] და ქონებას. ისინი მას ვერცხლად გაყიდიან (მონად) მისი სრული ღირებულებით..

(iv 30-33). (თუკი აღმზრდელმა) მამამ და დედამ გამოუცხადეს მას (ნაშვილებს): „შენ ჩვენი შვილი არ ხარ“, ისინი დაკარგავენ [...] ქონებას.

(iv 34-v 2). თუკი (აღმზრდელმა) მამამ და დედამ გამოუცხადეს მას (ნაშვილებს): „შენ ჩვენი შვილი არ ხარ“, ისინი დაკარგავენ [სამკვიდროს].

(v 3-15). (თუკი ვინმე) ქუჩაში კაცის ქალიშვილს ნამუსს ახდის. მამამისი და დედამისი ვერ ამოიცნობენ (?) მას (დამნაშავეს), (მაგრამ) ის იტყვის: „მე ცოლად მოგიყვან“ – მამა და დედა მას ცოლად მისცემენ.

(v 16-25). (თუკი ვინმე) ქუჩაში კაცის ქალიშვილს ნამუსს ახდის. მამამისი და დედამისი ამოიცნობენ(?) მას (დამნაშავეს), (მაგრამ) ნამუსის ამხდელი სადავოს გახდის ამოცნობას(?) – მან უნდა დაიფიცოს [...] ტაძრის კარიბჭესთან.

(v 26-31). თუკი ლომი მოხეტიალე ხარს შთანთქავს. უბედურება მის მფლობელს დაატყდება თავს.

(v 32-vi 1). თუკი მოხეტიალე ხარი დაიკარგა, ის (გამქირავებელი) ხარს უცვლის ხარში.

კოლოფონი

(vi l'). [(...)] 190 არის მისი სტრიქონების რაოდენობა

(vi 2'-3') (კომპოზიციის ეს ასლი ეძღვნება მწიგნობარს) კეთილდღეობისათვის ქალღმერთ ნისაბას[41] და (მის მეუღლეს) ღვთაება ხაიას.[42]

(vi 4'-5') პირადად დაწერილი (მწიგნობარი) ბელშუნუ [ძე ...].

შუმერული კანონების ფორმების სახელმძღვანელო (SLHF), დაახლოებით ძვ. წ. 1700 წ.

კანონები

[38] dumu-munus – ქალიშვილი.

[39] kaskal: expedition, caravan; road; journey (kaš$_4$/kas$_4$, 'to travel fast', + kalag/kal, 'swift')

[40] arad – მონა კაცი, მსახური, ყმა.

[41] მცენარეულობის, კერძოდ მარცვლეულის ქალღმერთი. წარმოდგენილია გრძელთმიანი ქალის სახით (ათავთავებული ყანის განსახიერება). ის ასევე არის სიბრძნის, დამწერლობის, სწავლის ქალღმერთიც.

[42] ნისაბას ღვთაებრივი მეუღლე.

(i 1-3). ... მან გაათავისუფლა
(i 4-5). ...
(i 6-8). დაიფიცა. დაიფიცეს. დაიფიცეს.
(i 9-11). ის წავიდა. მან მიატოვა იგი. მან გაწმინდა.
(i 12-22). ...

(დაზიანებულია)

(ii 1-3). თავისი ქალაქის ქუჩებში, მან (მაუწყებელმა) საყვირი ჩაჰბერა.
(ii 4-6). მის საბუთს[43] (გათავისუფლებაზე) მის წინაშე[44] ცეცხლში წვავენ[45].
(ii 7-9). მან შუბლი მოიწმინდა, ფეხზე ბორკილები მოიხსნა, ქოთანი დაამსხვრია.
(ii 10-13). მან თავისუფლება[46] აღიდგინა და მისი გათავისუფლების დამადასტურებელი დოკუმენტი[47] შეადგინა.[48]
(ii 14). მან ... მისი...
(ii 15-18). ის სახლს, მინდორს, ქონებას და ჭურჭელს[49] დაკარგავს, (ყველაფერს) რაც ექნება.
(ii 19-20). და გაყიდეს იგი ვერცხლად.
(ii 21-25). თუ არსებობს სამართლებრივი სარჩელი[50], (მაშინ) ის დააკმაყოფილებს სარჩელს.
(ii 26-31). და ორმაგი. წინააღმდეგ[51]. მის წინააღმდეგ. მას აქვს საჩივარი მის წინააღმდეგ. არავის აქვს საჩივარი მის წინააღმდეგ.
(ii 32-33). დაჰპირდა მას.
(ii 34-36). მისი საბუთი (ან: ბეჭედი). ერთიანი დოკუმენტი (ან: ბეჭედი). ყოველი ინდივიდუალური დოკუმენტი (ან: ბეჭედი).
(ii 36-38). მეფემ (?) გადასცა მოსაკლავად[52] (?).
(ii 39-42). შეიძლება იყოს მეტი[53], მაგრამ არა ნაკლები[54]. შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები.
(ii 43-45). მან დაიფიცა [...] მეფის სახელით.
(iii 1-2). [...]

---

[43] kišib – n., hand; fist; seal; sealed bulla; receipt (cf., kéš, 'to snatch; to bind'). v., to seal.
[44] saĝ-ki [FOREHEAD] (ED IIIb, Old Babylonian) wr. saĝ-ki "forehead, brow; front" Akk. pûtu.
[45] tab [BURN] wr. tab; tab$_2$ "to burn, fire; to dye (red); to brand, mark" Akk. hamāṭu; šamātu; ṣarāpu
[46] ama-ar-gi$_4$ – გათავისუფლება. თავისუფლება („დედა“+ „გაბრწყინება“ + „აღდგენა“).
[47] $^{(na4)}$kišib – seal, seal impression; sealed document.
[48] მოცემული ფრაზა, სავარაუდოდ, როგორც სტატუსით გათავისუფლებას, ისე დანაშაულისგან გათავისუფლებას გულისხმობს, რადგან ისინი იმ დროისთვის ხშირად ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. სტატუსით გათავისუფლება: ეს შეიძლება იყოს მონობიდან ან ვალის მონობიდან გათავისუფლება. მაგალითად, თუ ადამიანი ვალის გამო მონად იქცა, ვალის გასტუმრების შემდეგ, მას შეეძლო თავისუფალი მოქალაქის სტატუსი აღედგინა. დანაშაულისგან გათავისუფლება: თუ ვინმეს ბრალი ედებოდა დანაშაულში და სასამართლომ ან „მდინარის განსაცდელმა“ გაამართლა, ეს ნიშნავდა, რომ ის დანაშაულისგან „გაწმენდილი“, გათავისუფლებული იყო. ამის დამადასტურებელი დოკუმენტი კი მისი უდანაშაულობის იურიდიული მტკიცებულება ხდებოდა.
[49] ^{giš}šu-kár – equipment, tools, implements (unūtu); (a musical instrument).
[50] inim-ĝál-la – სამართლებრივი სარჩელი (OB), პრეტენზია. inim...ĝar - ვინმეს წინააღმდეგ საჩივრის შეტანა (სასამართლოს წინაშე); პრეტენზია („სიტყვა“ + „დაყენება, გამოსწორება“).
[51] úgu-a – tuku to hold against/over someone.
[52] gaz – გაანადგურა; დარტყმა, დაკვლა, მოკვლა.
[53] diri(g) – იყოს მეტი; მეტი, აღემატება, აჯობა; იყოს ზედმეტი, ზედმეტი, ჭარბი, დამატებითი.
[54] ba-lá – ის ნაკლებია (conjugation prefix + 'light, deficient'.

(iii 3-5). მათ ცალ-ცალკე[55] დაიფიცეს მეფის სახელით.
(iii 6-7). მათ ყველამ ერთად[56] დაიფიცეს მეფის სახელით.
(iii 8-9). ერთად შეკრებილი[57] თანაბრად უნდა გაიყოს.
(iii 10-12). თუკი ის ნავს მოიპარავს[58], (მისი ღირებულების) ორმაგს[59] გადაიხდის.
(iii 13-15). თუკი ის ღორს მოიპარავს, (მისი ღირებულების) ორმაგს გადაიხდის.
(iii 16-17). ის არასოდეს[60] არ იტყვის[61]: „ეს ჩემი სახლია“.
(iii 18-19). ისინი (სახლის) საერთო[62] კედლის[63] პასუხისმგებლობას[64] იზიარებენ.
(iii 20-23). საერთო კედელი სიგრძეში[65] 2 ½ *ნინდაა*[66], სიგანეზე[67] [...] *ქუშ*[68], სიმაღლეზე 1 ½ *ნინდა.*
(iii 24-25). მან დაანგრია და თავისით აღადგინა (კედელი).
(iii 26-31). იმის გამო, რომ მან თავისით დაანგრია და ხელახლა ააშენა (კედელი), მან (მეორე მხარემ) მისცა მას 1½ *შიკლი* ვერცხლი საერთო კედლის შენარჩუნების ხარჯებისთვის.
(iii 32-38). (პირველმა მხარემ დაიფიცა), რომ მომავალში მას (მეორე მხარეს) არ გამოუცხადებს, რომ არ შეიძლება ააშენოს რაიმე შენობა, როგორიცაა სახლი, რომ მან ლურსმანი არ დაარტყას, რომ მან არ დააყენოს კოჭი (საერთო კედელზე).
(iii 39-47). თუ [...] ჩაშენებული სახლის ნაკვეთის [...] *სარ,*[69] ხის [...] კარით [...].
(iv 1-9). [...] სახლი, ის პრეტენზიას არ გამოთქვამს. ის პრეტენზიას არ წამოაყენებს. ის არ განაცხადებს: „ჩემი სახლია“.
(iv 10-11). მან მას ნამუსი ახადა.[70] მას შემდეგ, რაც მან მას ნამუსი ახადა.
(iv 12-14). (თუკი) მას ის შესძულდება[71]. ის განქორწინების საფასურს ვერცხლით მიუწონის.
(iv 15-16). მან მოაჭრა[72] მას თმა(?)[73]

---

[55] dili – one, single, individual, lone, unique (Edzard, AV Klein 99).
[56] téš-bé, téš-bi-šè – as one, all together.
[57] téš-a sè-ga(-bé) – put together as one, acting in unity.
[58] zuh – მოპარვა.
[59] tab – to be parallel, lie parallel to; to double; to twist, entwine; to link, join, unite; to lock; to sweep away, devastate (sapānu) (cf. Michalowski, Lamentation p. 71; Civil, NABU 1987/49)
[60] u_4-na-me – არასოდეს.
[61] na-ab-bé-a – thus does he/she speak (affirmative + î, conjugation prefix + b, inanimate pronominal prefix + e, 'to speak' in marû singular + e, 3rd person marû singular subject marker + nominal).
[62] dal-ba-an(-na) – in between (area), შორის, შუაში, შუა; აქ: საერთო.
[63] i-zi, iz-zi – wall (of a building); fence (cf. ĝiš-zi).
[64] šu – hand; handwriting; handle (Steinkeller, ASJ 9, 349 n. 11); pounding stone, muller (Civil, AuOr Suppl. 22, 132).
[65] ús (uš?) – სიგრძე, გრძელი მხარე (ზომებში).
[66] nindan, ninda – a length measure, rod = 12 cubits (kùš) = 6 meters; one side of a sar/šar, 'garden plot' square measure (from Akk. middatu, mindatu, 'to measure'). 1 nindanu (ninda) "ninda'' (ca. 6 meters) = 12 "cubits" [Neo-Babylonian "ninda" = 14 "cubits''); nindan(NINDA), nindanx(NINDA.DU) (a length measure = 2 gi = 12 kùš = ca. 5.94 meters) (cf. gi-dišninda(n) measuring-rod 1 n. long).
[67] daĝal – სიგანე.
[68] kùš – წყრთა (a length measure = 1/6 gi = ca. 0.5 meter).
[69] sar – garden plot; (an area measure = 1/100 iku = 1 sq. nindan = ca. 38.28 sq. meters)
[70] a gi_4 – Akk. naqābu, სქესობრივი გზით შეღწევა, სიტყვ.: გაფუჭება; გაუპატიურება, ნამუსის ახდა.
[71] hul - gig – ზიზღი, სიძულვილი.
[72] ku_5(dr), kud(r) – მოკვეთა, მოჭრა.

(iv 17-18). (სხვა მამაკაცი) უნდა დაქორწინდეს მასზე; ის (პირველი ქმარი) არ იტყვის: „ის ჩემი ცოლია“.
(iv 19-20). მან ის ცოლად მისცა მის რჩეულ მეუღლეს.
(iv 21-22). ის დაქორწინდა.
(iv 23-24). მან დაიფიცა[74] თავისი მეფის სახელი.
(iv 25-26). მან ის თავის შვილად აიყვანა.
(iv 27-28). მან ის თავის მემკვიდრედ დაადგინა.
(iv 29-30). მინდობით აღსაზრდელად[75]. მინდობით შეგირდ-აღსაზრდელად.[76]
(iv 31-34). ხუთი მემკვიდრეც[77] რომ იყოს, ისინი გაიყოფიან ერთ მემკვიდრედ (ე.ი. თანაბარ მემკვიდრეებად).
(iv 35-41). თუკი კაცი წყალს გადაუშვებს სხვა კაცის დახნულ ყანაში და დატბორავს მას, მან უნდა აანაზღაუროს მარცვლეული მეზობლების (ყანების მოსავლიანობის) მიხედვით.
(iv 42-v 11). თუკი კაცი ნავს იქირავებს და მარშრუტი[78] შეთანხმებული, დადგენილია, მაგრამ ის დაარღვევს მის მარშრუტს და ნავი იმ ადგილას ჩაიძირება – უკანონოდ მოიქცა; ის ჩაანაცვლებს ნავს და საქირაო ფასის მარცვლეულს მიუწონის.
(v 12-20). თუკი კაცი ნავს იქირავებს და ის გაანადგურებს[79] ხის [...] და ხის [...], მან მისი ღირებულების ნახევარი ვერცხლით უნდა მიუწონოს.
(v 21-26). თუკი ნავი ჩაიძირება[80], მან უნდა შეცვალოს ნავი და მისი ქირა უკან, ნავსადგურში[81] დააბრუნოს.
(v 27-31). თუკი ზემო დინების[82] ნავი ჩაძირავს ქვემო დინების[83] ნავს, მან (მენავემ) უნდა შეცვალოს (დაკარგული) ნავი.
(v 32-36). თუკი ქვემო დინების ნავი ჩაძირავს ზემო დინების ნავს, ის (ქვემო დინების ნავის მენავე) არ შეცვლის (დაკარგულ) ნავს.
(v 37-44). თუკი კაცი თავის ნავს მენავეს[84] ერთი წლით მიაბარებს, მან (მენავემ) ნავის დაქირავების ვადის დასრულებისას მარცვლეული უნდა მიუწონოს.
(v 45). ერთი ხარი ჯოგის (?) უკანა მხარეს[85]

---

[73] siki – თმა (თავის, წვერის, სხეულის); ბამბა; ბეწვი; მატყლი, túg, tuᵊ(g/b) – შალის სამოსი, ტექსტილი. აქ საუბარია ან სამოსის დაზიანებაზე, ან მწერლის შეცდომაა და საუბარია ადამიანის თმის, ან ცხოველის ბეწვის/მატყლის მოჭრაზე.

[74] pàd, pà – დაფიცება.

[75] bùluĝ – მოსწავლე, ახალბედა; აღსაზრდელი.

[76] ეს კანონი ნათლად აჩვენებს, რომ იმ დროის საზოგადოებაში არსებობდა ბავშვის აღზრდის ორი განსხვავებული ფორმა: ერთი, როგორც უბრალო მინდობით აღსაზრდელი, და მეორე, როგორც შეგირდი, რომელიც, სავარაუდოდ, რაიმე ხელობასაც სწავლობდა.

[77] ibila – ვაჟი; მემკვიდრე, მემკვიდრე; მემკვიდრეობა.

[78] kaskal – ექსპედიცია, ქარავანი; გზა; მოგზაურობა.

[79] zi(-ir), zé(-er), sír, súr – წაშლა; გაუქმება; გაანადგურა, განადგურება.

[80] sud, sù, su – ჩაძირვა, დახრჩობა.

[81] kar – სანაპირო, ნავსადგური.

[82] ĝišmá-ru-ru-gú – ნავი, რომელიც დინების ზემოთ მიცურავს („ნავი“ + „გადაადგილება [დენის] საპირისპირო მიმართულებით“).

[83] ĝišmá-diri-ga – ნავი, რომელიც მიცურავს დინების ქვემოთ („ნავი“ + „ცურვა (დენით)“ + სახელწოდება).

[84] ma₂-lah₅ – მენავე.

[85] á – მხარე, ფრთა, მკლავი; ცული. ùr – წაშლა/მოშორება, გაბრტყელება, გასწორება, გაანადგურე; გადათრევა.

(vi 1-10). [...]
(vi 11-15). თუკი ის (დამქირავებელი)[...] ხარის [...]მისი ღირებულების მეოთხედი ვერცხლით უნდა მიუწონოს.
(vi 16-22). თუკი სათადარიგო ხარი[86] დაცული ტერიტორიიდან ლერწმნარში შევა და მას ლომი მოკლავს, ის (დამქირავებელი) ხარს არ შეცვლის.
(vi 23-31). თუკი ხარი მდინარის გადაკვეთისას მოკვდება, ის (დამქირავებელი) ხარს შეცვლის; მან უნდა დააბრუნოს ჯანმრთელი ხარი მის კომპენსაციასთან ერთად.
(vi 32-36). თუკი ლომი მოკლავს უღელში შებმულ ხარს, ის (დამქირავებელი) არ შეცვლის ხარს.
(vi 37-39). მათ გადასცეს[87] ის ფიცის დასადებად.[88]
(vi 40-42). მან განაცხადა, რომ იგი დაბრუნდა ფიცის დადების ადგილიდან.
(vi 43-48). მან არ დააკმაყოფილა[89] ის ვერცხლით. მას შემდეგ, რაც მას არ [...] ვერცხლი. იგი მოცემულია. ვერცხლის დაუმუშავებელი გროვა(ები)[90]. [...] მან არ [...] ვერცხლის დაუმუშავებელი გროვა(ები).
(vii 1-12). [...] „ჩემი სახლი“ [...]
(vii 13-27). მან მას უნდა უთხრას [...]
(vii 28-30). [...] მონა ქალი, ალიბასთია მისი სახელი.
(vii 31-33). მდინარეში ერთხელ, მდინარეში ორჯერ, ის უნდა [...] მისი წყლით.
(vii 34-36). 1/3 *მინა*[91] მატყლი, დავალება[92]: „ქალის [...] ქუდი“.
(vii 37-45). პროცენტი(?)[93] [...] ერიცხება პროცენტი[94] [...].
(viii 1-2). [...]
(viii 3-10). თუ ის (დაგირავებული) მოკვდება, გაიქცევა[95], დაიკარგება,[96] ან დაავადდება, მან (მოვალემ) სრულად უნდა აანაზღაუროს მისთვის დადგენილი სამუშაო წილი.
(viii 11-15). მონა ქალი და ვერცხლი თანაბარად ითვლება. ვერცხლს მოიტანს,[97] დაიბრუნებს თავის მონა ქალს.
(viii 16-19). მან (მეიჯარემ) წლიური მოსავლის მეოთხედის ოდენობით დამუშავებისთვის[98] (მიწა) იჯარით უნდა აიღოს.
(viii 20-21). ის (მეიჯარე) უნდა დაკმაყოფილდეს ვერცხლით წინასწარ გადახდილი მინდვრის ქირის ნაწილზე.
(viii 22-25). ყუნწიანი (?)[99] მინდვრის[100] მოსავალი რამდენიც იქნება მინდვრის მფლობელი[101] აიღებს.

---

[86] gud-numun-diri – სარეზერვო ხარები თესვისთვის („სათესი ხარები“ + „ჭარბი“).
[87] sum, šúm, sím, sì – მიცემა, გაცემა, გასესხება.
[88] nam-érim(-bi)...kud/ku$_5$ – დაფიცება, ფიცით დადასტურება.
[89] sa$_6$, ša$_6$ sag$_9$, šag$_5$, sig$_6$, – დამაკმაყოფილებელი (დააკმაყოფილებს); ვალის გადახდა, გასტუმრება.
[90] = გროვა, ნამტვრევები.
[91] ma-na – a unit of weight measure, mina = ca. 500 grams = 60 gín (since Akkad period, 2 ma-na = 1 sìla of water) (Akk., manûm, 'to count').
[92] éš-gàr – დავალება; სიმღერების სერია, კოლექცია.
[93] maš, máš – პროცენტი (სესხის); ქირავდება; მოგება; პროდუქცია, მოსავალი (მინდვრის).
[94] ur$_5$ – ფონდი; სესხი; ვალდებულება; ჭარბი, მოგება; პროცენტიანი ვალი; დაფარვა
[95] záh, zàh - გაქცევა, გაქცევა; გაქცეული.
[96] ú-gu$_{(3)}$...dé – დაკარგვა, გაქრება.
[97] tumu$_{2,3}$, tum$_{2,3}$, tu$_{2,3}$, – მოტანა; გაატანოს; მოპოვება; ვარგისი, მორგებული; მომზადება.
[98] uru$_4$ (= APIN), ur$_{11}$(-ru) – გუთანი, დამუშავება, კულტივირება.

(viii 26-30). მოსავლის აღების დროს. აიღოს(?) მინდვრის მარცვლის მეოთხედი, რამდენიც იქნება.

(viii 31-34). მინდვრის მფლობელი პასუხისმგებელია სასახლის კუთვნილი ქონების შენარჩუნებაზე და მინდვრის მიწის სამუშაოებზე.

(viii 35-43). თუკი ველი. წყალი [...] და 10 *მიკლი* [ვერცხლი] [...] წყალი [...].

(ix 1-11). სახლის ნაკვეთი[102] – ½ *ნინდა*[103] და 1 *ქუშ*[104]; მეორე ამბავი; მისი უკანა მხარე[105] [...]; მისი კალო[106] [...] ; მთავარი[107] გზა[108] [...]; (ესაა) გირინი-ისა-ს სახლის მიმდებარე მიწა, სახლის მფლობელისგან, ილი-(...)საგან შეძენილი.

(ix 12-14). მიუწონა 1 ½ *მინა* ვერცხლი. მისი სრული ფასი.

(ix 15-25). მან (გამყიდველმა) დაიფიცა მეფის სახელით, რომ მომავალში ნებისმიერ დროს ილი-[...], მისი მემკვიდრეები და [...] არ განაცხადებენ, რომ სახლი [არ გაყიდულა] და (რომ) ვერცხლი [არ გადაუხიათ].

(შემდეგი სვეტები დაზიანებულია)

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა/REFERENCES

Biggs, R., (1969). In Cuneiform Texts from Nippur, Eigbtb and Nintb Seasons. Assyrio- logical Studies 17. Ed. by G. Buccellati. Chicago: University of Chicago Press.

Brinkman, J.A., Civil, M., Gelb, I.J., Oppenheim, A.L., Reiner, E., (1980). The Assyrian Dictionary. Volume 11. N. Part I. 171.

Civil, M., (1965). New Sumerian Law Fragments. Pp. 1-12 in Studies in Honor of Benno Landsberger. Assyriological Studies 16. Ed. by H. G. Giiter- bock and T. Jacobsen. Chicago: University of Chicago Press.

Daniel, A. F., (2016). Introduction to Sumerian Grammar. N.2.

---

[99] išin (= PA-ŠE) – ღერო, ყუნწი, ტანი, კალამი.

[100] a-šà(g), aša5(g) (= GÁNA) – მინდორი, მიწის ნაკვეთი.

[101] lugal – მეფე, მფლობელი, მესაკუთრე, პატრონი.

[102] é-dù-a – house plot ('house' + 'to build' + nominative).

[103] ninda – a length measure, rod = 12 cubits (kùš) = 6 meters; one side of a sar/šar, 'garden plot' square measure (from Akk. middatu, mindatu, 'to measure').

[104] kùš – ell/cubit = 1/2 meter = 30 fingers [šu-si] = distance from elbow to fingertips; forearm; channel (cf., šu-da) (ku, 'to base, found, build', + many). 7 წყრთა.

[105] egir – უკანა მხარე, ზურგი.

[106] kislah (= LAND) – (Ur III, Early Old Babylonian, Old Babylonian, unknown) wr. kislah; kislah2; kislah3 – "კალო; დაუმუშავებელი, დაუსახლებელი, გაწმენდილი მიწა; ცარიელი სახლი. Akk. maškanu; nidûtu; terīqtu; turbalû

[107] Daĝal – (= WIDE) (ED IIIb, Old Akkadian, Lagash II, Ur III, Early Old Babylonian, Old Babylonian, unknown) wr. daĝal; dam-gal; di-am-ga-al; da-ma-al – განიერი, განი, სიგანე. Akk. rupšu.

[108] sila(3) – ქუჩა; ბილიკი; ბილიკი; გზა; ბაზრის ადგილი.

Finkelstein, J. J., (1969). Sumerian Laws. Pp. 525-26 in Ancient Near Eastern Texts Relating to tbe Old Testament. 3d ed. with supplement. Ed. by J. B. Pritchard. Princeton: Princeton University Press.

Foxvog, D.A., (2010). Elementary Sumerian Glossary. Guerneville, California USA.

Gurney, O.R., Kramer, S.N., (1965). Two Fragments of Sumerian Law. Pp. 13-20 in Studies in Honor of Benno Landsberger. Assyriological Studies 16. Ed. by H. G. Gtiter- bock and T. Jacobsen. Chicago: University of Chicago Press.

Halloran, J.A., (1999). Sumerian Lexicon. Version 3.0. Last revised August 11, 1999 Home page for the Sumerian lexicon: http://www.sumerian.org

Kramer, S.N., (1963). The Sumerians. Their History, Culture, and Character. The university of chicago press.

Kramer, S.N., (1956). History begins at Sumer. 52–55.

Kuhrt, A., (1995). The Ancient Near East c. 3000-330 BC, 2 vols. London.

Leick, G., (1999). Whos Who in the Ancient Near East. London and New York . 172-173.

Powell, M., (1987). Masse und Gewichte. Pp. 457-517 and 527-30 in Reallexikon der Assyriologie 7. Ed. by E. Ebeling et al. Berlin: de Gruyter.

Roth, M.T., (1997). Law Collections from Mesopotamia and Asia Minor. V 6 (2).

Sasson, J.M., (2000). The Ancient Near East. An Encyclopedia for Students. V 1. 139.

Schramm, W., (2010). Akkadische Logogramme. Zweite, revidierte Auflage. Göttinger Beiträge zum Alten Orient, Band 5. Universitätsverlag Göttingen.

Walter R., Bodine, (2014). How Mesopotamian scribes learned to write legal documents: a study of the Sumerian model contracts in the Babylonian Collection at Yale University.

http://psd.museum.upenn.edu/nepsd-frame.html